

1-37 სტრ., 1r

საქართველოსა შინა იყო რა ფრიადი კერპთ მსახურება, და ხალხთაგან შეწირვა შვლთა კერპთადმი და დაკლუა, ამას შემთხუჭვასა შინა, გამოცხადებითა ღის მშობლისათა მოვიდა მოციქული ნინა მცხეთას, რომლისაცა დროსა იჯდა მუნ მეფედ მირიან ხოსროიანი, ამან მოციქულმან ნინა იწყო ქადაგება ქრისტიანებისა სარწმუნოებისა და მოაქცივა თვთ მეფეცა და სა მეფონიცა მისნი, სთხოვეს დიდსა კონსტანტინეს რომს შინა ეპისკოპოსი და მღუდელნი, და მათმან წარმომგზავნელმან, მოუძღუანაცა ფიცარნი ფერხისა უფლისანი და სამსჭუალნი, მაშინ ნათელს ილო მეფემან მირიან, და ყოველთა სამეფოთა მისთა, წელსა შობითგან მაცხოვრისა 318-სა, გან ვრცნა ქადაგება ესე ვიდრე 528-ს წლადმდე, და შდ ამისსა კჳალად შემცირდა სარწმუნოება ქრისტიანებრი და განმრავლდა კერპთ მსახურება, 557-სა წელსა მეფობასა ფარსმან ხოსროიანისასა, გამოცხადებითავე ღის მშობლისათა, მოვიდეს ასურეთით 13- წმიდანი მამანი მცხეთას, და ესენი წარვიდნენ ადგილებთა შინა საქართველოსათა საქადაგებლად, ერთი ამათ ათ ც ამეტთა მამათაგანი იყო აბზა იოსებ, ამას აქუნდა თვს თანა ცხოველს მყოფელი ძელი ჯჳარად დანაკუჭთებული, ესე მოვიდა ადგილსა ალვანი ის გვერდისასა და დემკვდრა მუნ ადგილსა ტყიანსა და მაყვლოვანსა; დროსა ამას იყო მოხარკედ საქართველო სპარსთა მეფისა, და ამის მიზეზისა გამო იყო წარმოვლენილი სპარსთა მეფისაგან სარდარი ვინმე სარავიანი ჯარითა დასაცველად კახეთისა, ამან იხილა წმიდა იგი მლოცველად მას მაყვლოვანსა შინა და განჰკვრდა რა, შდ ლოცვსა ჰკითხა წმიდასა მას, ვინ არს იგი, რადსათვს იმყოფების მუნ და რად ნებავს მას! პასუხ უგო, ვდ არს იგი მონაზონ და იმყოფების სარწმუნოებისა ქრისტიანებრისა საქადაგებლად, და ჰნებავს, რათა აღუგოს ეკლესია წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისა, რომლისაცა ნაკუჭითი აღსაშენებლი აჩვენა მანვე წმიდამან, და აღუშენა რა 569-სა წელსა ეკლესია, იტყვან, ოდეს სრულ ჰყო, მან სარდარმან სარვიანმან, ამით ლე ქსითა მიულოცაო, აჰა გვერდი, და იყოფოდა წმიდა იგი მუნ, და აღესრულა რამუნ დაეფლა, და მას თანა ყოფილი ძელი ცხოველს მყოფელი და შთა საყდ[რად,]არსა შა, და ესე ეკლესია არა ვითარსამე პატივის ცემასა შინა მაშინ არა იყო, არამედ იყო ეკლესია მცირისა დაბისა, მოვიდა მურვან ყრუ 639-სა წელსა და მოაოხრა ქართლისა ამერ იმერნი, მაშინ ესეცა დაარღვა, [ვიდრე დრო] და დაშთა ესრეთ, ვიდრე დროდმდე დავით აღმაშენებელისა ბაგრატოვანისა, ხოლო წელსა 1100-სა იწყო რა განახლება დარღვეულთა ეკლესიებთა ამან მეფემან დავით ბაგრატოვანმან ესეცა ალავერდი განახლა, და დაუსო არხი მანდრიტი, და მაინც არა რა ჰქონდა განსხვავება პირველისაგან მდგომარეობისა, შდ ამისსა მოვიდა ლაგ თემურ 1360-სა წელსა ხუთ ჯერს, მოაოხრა ქართლი და კახეთი და დაარღვა ესეცა ეკლესია, კჳალად აღექსანდრე დიდმან, მეფემან საქართველო

1-32 სტრ., 1v

სამან ბაგრატოვანმან 1414-სა წელსა აღაშენა რა მცხეთად და რუისს ეკლე-

სია, მაშინ ესეცა განაახლა, და განჰყო საქართველო სამად სამეფოდ, პირველსა ძესა ვახტანგს მისცა იმერეთი, საშუალსა, დიმიტრის ქართლი, ხოლო უმცროსსა ძესა გიორგის კახეთი და დაუსოცა მღვდელთ მთავარი და უწოდა ალავერდელი, და იწყო აქეთგან ამან ეკლესი ამან განდიდება მიზეზითა მუნ ყოფისა მღვდელთ მთავრისათა, და მაშინ [განა] დაიწყო[ეს] დღესასწაულობა მის ცხოველს მყოფელისა ძელისა, ვინათგან მრავალთა სწულთა ჰკურნებდა და ჰკურნებს, სადაცა შეკრებოდნან, მთლად კახეთი ქართურთ და ბელაქნით და სხუათაგანცა ადგილებთა მოიწოდნან მლოცავნი ამის ძელისა ჭეშმარიტისანი [და დღესასწაულობენ ვიდრე ამდღემდე სეკდე] [ნბრის 14-სა ამდღესასწაულობასა.] შუდ ამისსა მოვიდა რა შაჰაბაზ-1622-სა წელსა და მოაოხრა კახეთი დაარღვა ესეცა ეკლესია, ხოლო შუდ ამისსა განაახლა მეფემან კახთა და რანთამან ფადლამან კვრივე - 1700-სსა, წელსა რომელიცა თვთ კედელსა ზედა მისს ეკლესიისასაცა სწერია: ხოლო უკანასკნელ კუალად გუმბათი და სამბერო მისი დაიქცა რა დიდისა ძრვსაგან, განაახლა [მჟ] განსვენებულმან მეფემან ირაკლი მეორემან ბაგრატიონმან და აწცა მდგომარებს მასვე შინა, და არა რად არს შეცულება მისი, და აღასრულებენ დღესასწაულსა მისსა სეკდენბერს 14-სა-უჩინებულესად და ხალხთა სიმრავლითა იდღესასწაულებოდა, წინა რე 1795-ის წლისა, ხოლო ამას წელსა მოვიდა რა ალა მამად ხან, [გან] შუდ არღარა აღესრულება ესრეთი დღესასწაულობა, რათამცა შეეთანასწარებოდეს პირველსა დღესასწაულობასა.

აწინდელი დღესასწაულობა ამით განსხვავებულებს, რომელ მაშინ მღვდელთ მთავარი გარდაიხდის ცერემონიულსა წესსა, ხოლო აწ არხიმანდრიტი.

მცხოვრებნი შესწირვენ: [სულხედორ შაჰრ] ფულსა, აბერშუმსა, ყაქსა წინდასა, პაჭიქსა, ზროხასა ცხუარსა, გამომცხუარსა პურსა, ზედაშედ ღვინოსა, ვის როგორ ძალ უმს, და ქათამსა,

გარდაიხდების აწ ოდენ წესი, ღის მსახურებისა ეკლესიად, [საღმრ] ხოლო უწინ, შუდ საღმრთოსა ლიტურდიისა მღვდელთ მთავარი მისი [გარდაიხდიდა მეჯლიშოთა] მიმწვეველი კეთილ შობილთა, გარდაიხდიდა მეჯლიშო[თა]სა [დღესასწაულსა], გალობითა და ლხინითა სასუფროდთა,

1-26 სტრ., 3r

ქრისტეს აქეთ გასულიყო წელნი შვიდას სამოცდა რვანი ამ წელს მოვიდა ბირიან აბაში საქართველოში დიდისა ჩინებითა კრებულისა ერთა იყო ბირიან აბაში კაცი ამირთა ამირი და დიდად სახელ ჩინებული ჰყვანდა ორი შვილი ელეს და გურინ ცოლად ჰყვანდა ბირიან აბაშსა აბაშთ მეფის ასული სახელად ეწოდა ელენ მაშინ მეფობდა საქართველოში ბაგრატიონი

მეფე ბაგრატ მე მეფის და ვითისა და მეფემან ბაგრატ უბოძა ბირიან აბა
შს ადგილნი და მამულნი საქართველოში ჩინებულნი და უმჯობესი
ყოველთა ვერეს მდინარე თავისის ხევის თავითა ბედნის მდინარე თავის
ის ხევის თავითა არჯენის მდინარე თავისის ხევის თავითა ფარვა
ნის ბორცვის მდინარე თავისის ხევის თავითა ლელვარის მდინარე
თავისის ხევის თავითა მტკვრამდინეჲ და სახლა ამა ადგილებში ბირიან აბაში
მეფემ ბაგრატ მისცა ასული თვისი თამარი ელეს შვილის ბირიან აბაშისასა-
და სახლდა თვითან ბირიან აბაში ორბეთს და მაგირის კეთილს გაკეთა ბირიან
ციხე ორბეთისა და ციხე აწეულისა ციხე ფარცხისისა ეყენა რამდენიმე
მცველნი ციხისანი ცხოვრებდა საქართველოში ბირიან აბაში დიდითა
ჩინებითა ჰყვანდა შვიდი ხევის თავი და სხვანი მრავალნი ერთი გარდა
იცვალა ბირიან აბაში და დარჩათ შვილთა მამულნი და ადგილნი მისნი
და დაერქოთ შვილთა აბაშის შვილები, რამდენიმე ხანი და ჟამნი აბაშის შვილებს გვე
ძახდენ და გარდაიცვალა რამდენიმე დროდა ჟამნი და დაერქო ქართველ ქაჩიბა
იძე რამდენიმე წელიწადი ქართველ ქაჩიბაიძე ვიყავით გარდაიცვალა
დროდა ჟამი და და გვერქვა ბარათიანნი და ამ ბარათაშვილობაში ვესახლე
ნით ენაგეთს: ერქვა იოანე და იოანეს ყვანდა სამი შვილი უფროს აბაში ერ
ქვა მეორეს გუგუნა მესამეს და ვით იოანეს უკან გაიყარნენ ენაგეთიდან
აბაში სამშვილდეს და არჩა გუგუნა ალგეთზე უმცროსი და ვით გარესჯას
გაიყვეს მამული და ადგილები სამთავე ძმათა ენაგეთიდან გამოყრა იქნება სამას
ჩვიდმეტი წელი წადი ბატონმა ბაგრატმა მეფეთ ალექსანდრემ გიორგი მეფი

1-28 სტრ., 3v

შვილმა გაჰყარა ენაგეთიდან და დაუყვეს ხეობა და მამამულები ამ სამთა
ძმათა სამისავ მამის მამულები გაყოფილი გლეხი და აზნაური ცხრა ათასი კომლი
გაყოფილი არის და უწილოდ აბაშს უჭირავს დურნუკი წინწყარო და ტბისელნი
აზნარნი ორბეთი ესენი უწილოდ უჭირავს აბაშს და სხვა მეფის ალექსანდრეს
ბძანებით გაყოფილი არის ბარათებით ყოველი მამული მონასტრები მთები წყლე
ები ადგილები ყველა თავთავის ბარათებით უჭირავსთ ძველი წიგნები და გუჯრ
ები ბირიან აბაშისა და ქაჩიბა ძისა ყველა მანგლისის სამალავში არის
ბირიანის წიგნები ლანგ თემურ და წვა და ქართველ ქაჩიბაძის წიგნი მანგლელი საბა
ქვათა ხევის იყო იმას ქონდა ის მანგლელი საბა ლანგ თემურ ქვათა ხევის საყდ
არში და წვა წიგნები და გუჯრები ძველი იქ და იკარგა და ბარათა შვილების წიგ
ნები და გაყრის წიგნები არის როგორც გაყრილან და ან ვის რა რგებია
ხეობა თუ მამული გადმოიწერა ეს გუჯრის პირი ბეთანის გუჯრიდამ ბეთან
ისს დეკანოზის იესესაგან მარტის ზ ჟამსა მეფობისა გიორგისასა და
ჯანიშინობასა ბატონის შვილის ვახტანგისასა ქ~ეს ტ ჟ ბ 1704
და მისგან გარდმოიწერა იესე მოლარე თხუცისაგან ჟამსა საქართველ[ო]
ზე მეფედ ცხებულისა თეიმურაზისასა წელსა ჩ ღ ნ დ ქვ~ს ჟ მ გ
ესრეთ თომაკანჭას შვილი მემკვიდრე და მემამულე თავისის ნაწილისა რომლ
ისამე საბარათიანოსა სანატრელს მეფეს ვახტანგს სახელოვანს და დიდათ

თანა ხლებოდა რუსეთეს და ამათ ობას დიდებული ხელმწიფე იმპ
ერატორი ელისაბედ გარემო ქვეყანაში უბძანებდა დესპანად სიარულსა
განმსტრობად და მოხილვად ვითა არცა არს ჩვეულება დიდთა ხელმწიფეთა
ერთხელ მოვიდა ქართლსა ჟამსა ყირიხლი იმან ყული ხანისასა
რომელსა ზედა წოდებულ ყოფენ გიჟ ხანად და აქეთ წარვიდა ერანში
მუნით რუსეთს და მეორედ მოვიდა ამა ჟამსა სახლეულით ნახა მეფენი
და წარვიდა და იწროებული ხოსტანგი აქვნდა კმა საყოფელი პირველ
რომ მოვიდა მამა ჩემთან მეგობრულეზრ მეორე ჩემი დიდად მოყვარული თო
რემა მის მიერნი წერილნი აცხადებენ ეს წიგნი თანა ქონდა მეა
მებოდა და ამისთვის გარდმოვწერე.

1-18 სტრ., 4r

1 მეფობა ბაგრატიონთი ქრისტესით. ღ კ ზ . და აშოტს და ესხნენ რაშა
ვშეთს განლტოლვილი პოვეს და ქრისტესთვის, და ჰკლეს ხოლო მეორედ მოვიდა
ხალილ არაბი, და გარდა ბანელთა რას ძლეს და სუა ამირ ტფილისს საგ ისმაი
ილის ძე და მოვიდა რა კუალად მესამედ ხალილ არაბი და მოკლულ იქმნა ჯა
ვახეთს. და შემდგომად მისსა მოვიდა რა მახმედ ძე მისი ამას მოერთუა ბაგრატ
კურატ პალატი. ყმა. და ჰყო მეფედ ქართველთა ზედა ხოლო მოვიდა რა
ბულა თურქი შემუსრა სომხითი, და მოადგა ტფილისს, ამისთვის მოერთვა
[შემდგომად ამისსა] ბაგრატ, შემდგომად ამისა იქმნა ძე მისი დავით. ყ ნ ე.
ამ რიცხვში მოვსულვართო]

3. დავით აღმაშენებელი იყო ამ წელს ჩ კ თ. ბაგრატის ძე

2. ქ მეფეს ალექსანდრეს, გიორგი მეფის ძეს გაუყრია, აბაში გუგუნა
და დავით, ამ წელს ჩქ-ჟ ი დ

3. ჩ ფ ე, ამ წელს იყო მეცხრე მეფე და ვით და ამან გაჰყარნა ბარათიანნი უკანას
კნელ იქმნა რა . ესე მონოზან ამისთვის ჰყვეს მეფედ ქართველთა ძმა მისი გიორგი
ამ წელს ჩ ფ კ დ.

ბაგრატის ძე გიორგი მეფე ამ წელს იყო ჩ ტ ჟ ვ, ამ წელს მეხუთედ მოვიდა
ლანგ თემურ მანგლისს, და მიუწოდა ამა მეფესა, აღილო ბირთვისი. და
იქმნა მეფედ ძმა ამისი კოსტანტინე. ამ წელს ჩ ჟ ზ

1-24 სტრ., 5r

არსენი იყალთოელი აღმაშენებელის ცხოვრებაში.

არსენისსა მისრული მღვიმეს, იტყვის დავით მეფე, მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს
არსენისსა მი-
ველ. მარჯვენესა გვერდსა ზედა წვა ნოსელს იკითხვიდა და დოღმატიკონსა ამოწმებდა და

ცვილსა სოფია წმიდისასა იგივე მარტო იქმოდა (ესე გელათს ყოფილა დაწერილი)

თამარისათჳს სწერს: ხ~ მეფისა თამარის ქებანი ვინმე სთქვენეს, რამეთუ რა დასჯდა თჳსთა საყდართა

მაღალთა და აღმატებული ცხებული ღთ~ისა მეფე თამარ ყ~ლითა სიკეთითა

მიუწდომელი,

შვენებითა აფროდიტიანითა, და სიუხვითა მზეებრ აპოლონიანითა, სატურფლ საჭკრეტი, მ~დის ყ~თა

მისთა გამოცდელ მხედთა, სიმშვიდითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა ალექსან-

დრიანითა, რ~ლსა უძრწოდა შიშნეულად ყ~ლნი სიბრძანებლნი. რ~ იმეფა მშვიდმან

მშვიდობით

დამაპრობელმან და დამამკვიდრებელმან ქყ~ანასა სამეფოთა და სამფლობელთა შინა, ხ~

ყოვლისა

მამაცობისა მ~რთ სამარჯვენი ოდესმე რაინდობანი და მხედართა სიხელოვნენი და

მკვირცხლნი

მოქმედებანი. და ოდეს მე ნარნარად მშვიდი და წყნარ მეტყველებაში, და სიბრძნით მე

პასუხებანი

ახალსა აქილებრსა და სამფსონიებრსა ძლიერსა დავითისაებრად გულითადასა და მისებრ

გო-

ლიათისა უცხოთესლთა დაამცემ მომსვრელისა. [ჭა] მოსესებრ სპათა თჳსთა მძღვანსა , მას,

ვ~ა

სვეტი ნათლისა და ამას ჯ~ი პატიოსანი. პ~ლ მეძიებელმან ზენასა სუფევისა მოსურნესა

ქვენაცა ესე დიდება და სიმდიდრე მიიღო, ა~დ ვ~ა ორბმან ფრთე მაღალმან აღიფრინა

ზე და მიავლინა გუგანი სახედველთანი, და სივრცითა გონებისა თჳსისა შემოიკრიბნა

ყ~ნივე

ხ~ სჯულთა თ~ს მეორე კონსტანტინე იქნებოდა მისებრ მოსწრაფე იყო დაწყებასა

საღთოთა საქმეთასა-

რ~ იწყო აღლესავად ორპირისა მახვილისა სამხილებად უ~ღთოთა და მოსასრველად

თესლთა

ბოროტთა, რომელი შარავანდედი მეფობისა არს და არა ღთ~ის მბრძოლისა, სამეფოსა

თჳსისა სწავ-

ლითა და განსწავლით დაცვად სჯულთა სა~ღთოთა შეუგინებელად, უკლებელად

გონებითა

და სულგრძელმან და გვიანმან რისხვითა ამაღლებულმან ჭკრისა და ფარისამან და

განმფენელ-

მან მახვილისა წინაშე მაჭირვებელთა ივერიისათა, თამარ სვე სვიანისა მეფისა და ჳელ

მწიფისა. ხ~ მზეებრ დისკო შარავანდ შუქითა მფენისა:

1-20 სტრ., 5v

ხ~ ესე ქართლის ცხოვრება პლ~ვე მეფე ვახტანგს თვთ ეკეთებინა ქართლს მყოფობასა

და მერმე რუსეთს ძველთა გუჯრებთა და ცხოვრებათა და მოხუცებულ მაცხოვარ

მეცნიერთა

საქართველოს კაცთაგან დიდის გამოკვლევითა და გამოძიებითა გულს-მოდგინედ შეესრულე-

ნა, რომ საქართველოს ცხოვრება ნოეს შვილის იაფეთის ქართლოსიდან აქამომდე რა როგორ ყოფილა ან მეფენი მსხდარან და ან რა ჟამები და დრონი ყოფილან ბატონის შვილის ვახუშტის თანხლებით ეკეთებინა და აღარ დასცალეზოდა თანამდებობისაგან სიკუდილისა, მერმე რომ ასტრახანს გარდაცვილი იყო ~~[თანამდებობისაგან]~~ [სიკუდილისა] ბატონი შვილის ვახუშტის შეესრულებინა და არს აქა მეფე ერეკლემდინ და ამის იქით რაც იქნება ქყანასა ამას შა საქართველოსაო მატანე მწერალთ აღსწერონ.

(დასასრულს) მოვიდა ტფილისს მეფე თეიმურაზ ქეს აქეთ ჩ დ მ დ. ქს ჟ ლ ბ. ამავე წელს აგვისტოს ია. მოკჳდა ქზი. ხერხეულიძე და ამავე წელს აგვისტოს იქმნა კზ პტრად მეფის ძე ანტონი, რლი ქუთათელ მიტროპოლიტად იყო პლ ბიძამან და მძამან მისცეს კზობა და შახნადირმანცა ნება სცა და უბოძა, ხ მეორესა წელსა იცხო მეფედ მეფემ თეიმურაზ ოკდ. ა ქკს აქ ჩ დ მ ე ქართ. ჟღგ და სცხო დის წულმან თჳსმან კზმან ანტონიმ ქართლისა და კახეთისა ეპისკოპოს წარჩინებულთა მთავართა ნებითა ცხეთას და იქმნა ცხებული.

სხვა დედანში არის ვე მოსვლადმდე კახეთს კონსტანტინესა, ძისა ალექსანდრე კახ მეფისა მაზლისა წის ქეთევან დედოფლისა, და ეს კონსტანტინე გამოგზავნა შაჰაბაზ მოკჳლვად ალექსანდრესა მამისა და ძმისა გიორგისა.

1-23 სტრ., 10r

გელათის გალავნის შესავალში დიდი რკინის კარი რომ არის არაბულად დაწერილი ამისას ამბობენ ორი ამის თანა დავით აღმაშენებლს მოუტანია დარუბანდიდამ. ამისი ცალი კარი დაუშლიათ და რკინათ უხმარიათ ეკლესიისა თს ამ არაბულის წერილის მცოდნეს უთარგმნია ესრეთ

სახელითა ღვთისათა ყდ მოწყალისა და ყდ სახიერისა.

გვებრძანა ჩვენ გაკეთება ამა კარებისა ჩვენის მეპატრონის ამირ სეიდისაგან სახელოვანის შავირისაგან ელფას ცალის ძის ღმერთმან შეინახოს იმისი მეფობა ზედა მხედველობისა ბრძენის აბულ ფერეჯ მჰმედისა აბულაფს ძისათა ღმერთმა ხელი მოუმართოს მას ყოველი ფერში

კარები ამოსჭრა იბრაიმ ოსმანის ძემან ანკვეის ძემან რკინის მჭრელმან.

455. წელსა რომელიცა იქნება 1063.

ვისაც ეს დაწერილი შეუმოწმებია ისტორიაში, უპოვია რომ ემირი შავირბენალ ვას ცალ ყოფილა მეპატრონე დვინისა და ყარაბაღისა. 140. წელსა რომელიც არის 951 და ძის შთამომავალთა სჭერიათ ის ადგილები 128. წელიწადს და ეს კი არ სჩანს

რომ იმათ დარბანდიც სჭეროდესთ და არც ეს არაბული დაწერილი აცხადებს რომლის ქალაქისათვის გაუკეთებიათ ეს რკინის კარები იმ ქალაქის სახელი არა სჩანს ამისთვის შესაძლებელია ის კარები სხვამ ვინმე ძლიერმა კაცმა წაიღო დარბანდს და იქიდან წამოიღო შუდ დავით აღმაშენებელმა რომელიც მეფობდა საქართველოში 1089. წლიდან ვიდრე 1130 წლამდე- ანუ შესაძლებელ არს როდესაც დავით აღმაშენებელმა დარბანდის აღების შუდ გაილაშკრა ყარაბაღი და აიღო ქალაქი ბარდავი და მერმე სომხითის ქალაქი ანი და იქიდან წამოიყვანა ტყვედ აბულ ასვ არ ხსენებულის შავირონის შვილიშვილთაგანი იქნება ეს კარებიც მაშინ იქიდან წამოიღო